ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 494

19 ოქტომბერი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის (ს/კ. 404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 127[2] მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ასევე, „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის (ს/კ. 404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის №21.1391.1560 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის (ს/კ. 404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №12.17.575 დადგენილებაში, „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის (ს/კ. 404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის №21.1391.1560 განკარგულების შესაბამისად და განკარგულების

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადაეცეს სს „ბანკი ქართუ"-ს (ს/ნ. 204891652) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება, მიწისზედა მშენებლობის უფლების გარეშე:

(ა) 28 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.040), 484 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.031), და 26 კვ.მ (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.034) მიწის ნაკვეთები;

(ბ) და ქ. თბილისში, მოედანი კოლმეურნეობა, „პირიმზის“ მიმდებარედ 320 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.027).”

ბ) დანართის - აღნაგობის პირობების 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ყოველწლიური აღნაგობის ღირებულება შეადგენს 32232.60 (ოცდათორმეტი ათას ორას ორმოცდათორმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს (შემდგომში “აღნაგობის ღირებულება”) დღგ-ს გარეშე“.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შევიდეს იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 201 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.011.043) 2021 წლის 24 სექტემბრის №E-608-41-26720 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან - სს „ბანკი ქართუ“-სთან (ს/ნ: 204891652) გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და გაიცემა საკუთრების მოწმობა.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**